ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22
2025 წლის 19 დეკემბერი

დაბა ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის №33 დადგენილებაში **(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, 22/12/2022, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.128.016480).**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებულ №1 დანართში და დანართის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„**1.** განისაზღვროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა თვეში არაუმეტეს 1032 (ათასოცდათორმეტი) ლარისა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის პირველი იანვრიდან.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**